ქრისტე აღდგა!

ახალი განთიადი

,,ბედნიერია ის, ვისაც
სამშობლოსათვის უძგერს გული,

30 აპრილი -12 მაისი 2013 წელი №8 № 8042 ელფოსტა : AxaliGantiadi@gmail.com.







უზბეკეთში წარმატებული კასპელი

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ოლეგ იაძეს უზბეკეთში მცხოვრები თანამემამულე, ცნობილი მოჭიდავე ზურაბ ბახტაძე ესტუმრა.

ზურაბ ბახტაძე სოფელ ხოვლეში დაიბადა და სკოლაც იქვე დაამთავრა. 10 წლისამ ცნობილ მოჭიდავესა და მწვრთნელ ლავრენტი კაციაშვილთან დაიწყო ვარჯიში. 1971 წელს უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონია ჭიდაობა სამბოში. იყო საქართველოს, საკავშირო, საერთაშორისო და აზიის ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული. 1980 წლიდან დამკვიდრდა უზბეკეთში და ხელი შეუწყო სპორტის, ქართული ტრადიციებისა და კულტურის გაცნობას და განვითარებას.

საქართველოს სათვისტომოს თავმჯდომარემ - ქალაქის ცენტრში "პატარა საქართველო" გააშენა. ჩამოაყალიბა ქართული ჭიდაობის ფედერაცია, გახსნა ქართული კულტურის ცენტრი და საკვირაო სკოლა, რომელშიც ქართველ მოსწავლეებთან ერთად არაქართველი ბავშვებიც სწავლობენ საქართველოს ისტორიას და ქართულ ენას. ჩამოაყალიბა ცეკვის ანსამბლი "მზიური" და მომღერალთა გუნდი. გახსნა მაღაზიები და რესტორნები, სადაც ქართული კულტურის, ქართული სამზარეულოს და ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას ეწევა. ახალ წელს, ტრადიციულად ყველა ქართველი აქ ხვდება და შობის დღესასწაულს ერთად ზეიმობენ.

ზურაბი წარმატებული, პატრიოტი და უზბეკეთში მცხოვრები ყველა ქართველის თანამდგომია. უზბეკეთში იგი ცნობადი სახეა, ამიტომ ქვეყნის ხელისუფლებამ უზბეკეთის ღირსების ორდენით დააჯილდოვა - აღნიშნა ოლეგ იაძემ.

ზურაბ ბახტაძემ მადლობა გადაუხადა ოლეგ იაძეს გულთბილი მიღებისათვის, მიულოცა მუნიციპალიტეტის გამგებლობა და წარმატებები უსურვა.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლი" კასპში

ქალაქ კასპის ბიბლიოთეკაში, ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი-"ს მიერ ჩატარდა ორდღიანი სემინარი თემაზე "ქალთა გაძლიერება სოციალური განვითარებისათვის".

ორგანიზაციის ტრენერმა ნინო ელბაქიძემ დამსწრე ქალბატონებს გააცნო "ქალთა უფლებების განვითარების მოკლე ისტორია", "ქალების ჩართულობა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში", "მშობლებისა და ბავშვების წარმეო საქმიანობის განხორციელების და გადასახადების," "ოჯახი და ქალთა უფლებების შესახებ" ისაუბრა "კონსტიტუციის 42-ე მუხლი"-ს ტრენერმა ანა თვარაძემ.

სემინარის მიზანი იყო ქალთა ინფორმირებულობა და სამართლებრივი ცოდნის ამაღლება, ანუ "იცოდე კანონი და იქნები დაცული". ძალიან ბევრმა ქალმა არ იცის კანონით მინიჭებული უფლებები და მოვალეობები, რისი

უფლებები", "ქალები და სოციალური უფლებები" და "ქალები და მემკვიდრეობითი სამართალი".

პრაქტიკული რჩევები "სახელშეკრულებო სამართლი"-ს, "სამეარცოდნაც ხშირად, მიზეზია მათი უფლებების შელახვის და რაც არცთუ იშვიათად, სამართლებრივი სისტემის ნამდვილი ლაბირინთების მძევალი ხდება.

* დასასრული მე-3 გვ.



მიმდინარეობს სტიქიით დაზიანებული სახურავების აღდგენა

კასპის მუნიციპალიტეტში, 24 მარტის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების და შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია დაიწყო. სამუშაოე-ენებული ზარალის დამდგენი შვიდკაციანი კომისია შეიქმნა. კომისიამ იმუშავა, დაადგინა ზარალის სავარაუდო ოდენობა და სამუშაოები სასწრაფოდ დავი-

ბის მიმდინარეობის ტემპი და ხარისხი პირადად კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ოლეგ იაძემ შეამოწმა.

ოლეგ იაძე იმყოფებოდა სოფელ სასირეთსა და თელიანში, სადაც მიმდინარე სამუშაოები უკვე დასრულებუ-წყეთ, რათა მოსახლეობა მოსალოდნელი ბუნებრივი ნალექისაგან დაგვეცვა და დამატებითი პრობლემები არ შექმნოდათ - აღნიშნა ოლეგ იაძემ მოსახლეობასთან შეხვედრისას. სამუშაოების შესრულებაზე გამოყოფილია სავარაუდო თანხა - 400 000 ლარი. სახურ-



ლია. მოსახლეობა დროულად აღდგენილი სახურავებით კმაყოფილია, ვინაიდან გაზაფხულის მოსალოდნელი წვიმა სახლებს შიგნიდანაც დააზიანებდა და ეს საშიშროება ახლა აღარ ექნებათ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 25 მარტის №177 ბრძანებით, კასპის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყ-ავების მოწყობა ფურცლოვანი თუნუქით და პროფნასტილით მიმდინარეობს. სამუშაოებს შპს "ლებე" აწარმოებს და ადგილობრივ მოსახლეობას ასაქმებს. სარეაბილიტაციო სამუშაოები 28 მაისს დასრულდება.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლი" კასპში

* **დასასრული.**

სემინარის დასასრულს თითოეულ მონაწილეს გადაეცა სახელმძღვანელო სამართლებრივი გზამკვლევი ქალებისათვის, სადაც თავმოყრილია ყველაზე საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის გზის მაჩვენებელია. სახელმძღვანელო გამოცემულია ააიპ "კონსტიტუციის 42-ე მუხლი"-ს მიერ, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობისა და საზოგადოების (QIZ) ფინანსური მხარდაჭერით.

სემინარზე დასმულ კითხვებზე ტრენერებმა შესაბამისი პასუხები გასცეს.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

კარდიოლოგიის ახალი კაბინეტი

კასპის მრავალპროფილიან სამედიცინო ცენტრ "მარიმედში" (დირექტორი მამუკა ბერიძე) სულ ახლახან გაიხსნა კიდევ ერთი ახალი, კარდიოლოგიის კაბინეტი, რომელიც კვირაში ერთხელ იღებს პაციენტებს. დედაქალაქიდან მონვეული მაღალი რანგის კარდიოლოგი უპრობლემოდ იღებს აქაურ პაციენტებს, გულდასმით სინჯავს და უნიშნავს სათანადო მკურნალობას.



"ახალი განთიადი-"ს სტუმარი გახლავთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარდიოლოგიის კათედრის პროფესორი პავლე მაჭავარიანი.

გული ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ორგანოა. მისი მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია და ეს ანბანური ჭეშმარიტება ადამიანის ყოველდღიურ მეტყველებაშიც აისახება: "გული მომივიდა," /გავბრაზდი/, "გული შემიღონდა," "გული წამივიდა," "გულადი" /მამაცი/, "გულ-

* დასასრული მე-8 გვ.

"წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი"

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში "წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი-"ს (თაყაიშვილი) ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

"წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი"-ს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოვიდნენ მუზეუმის თანამშრომლები: ლიანა ბალხამიშვილი, ნანა მერებაშვილი და ნანა მიდელაშვილი.

საკუთარი ლექსი მიუძღვნა კასპის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგმა მანანა ყაბანაშვილმა, ხოლო ამავე სკოლის მოსწავლემ სალომე სიხარულიძემ წაიკითხა ლექსი ექვთიმე თაყაიშვილზე.

დიდი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის თაყაიშვილის ღვაწლი უდიდესია ქვეყნისა და ქართველი ერის წინაშე. ექვთიმე თაყაიშვილმა, ივანე ჯავახიშვილთან ერთად 1918 წლის 26 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დააარსა. იგი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი იყო. მან თავდაპირველად ქართული ხელნაწერების შეგროვება დაიწყო. გამოკვლეული აქვს "აბდულმესიანი", "თამარიანი", "ვისრამიანი", "როსტომიანი", "ქილილა და დამანა", "რუსუდანიანი" და სხვა ხელნაწერები.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ ძველ ხელნაწერებს. 24 ხელნაწერიდან ყველაზე ძველი 1646 წლისაა.

1921 წელს მეცნიერი იძულებული გახდა დაეტოვებინა კომუნისტური ხელისუფლების მიერ ანექსირებული საქართველო და წასულიყო ემიგრაციაში, კერძოდ პარიზში, სადაც ხაზინის ქონებასთან ერთად მეთვალყურეობდა

საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილ სამუზეუმო განძეულს. მან ეს განძეული ქართველ ხალხს, 1945 წელს დაუბრუნა. მადლიერმა ერმა მას საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი უწოდა, საქართველოს ეკლესიამ კი წმინდანთა დასში შერაცხა და უწოდა წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი.

მეცნიერი 1953 წლის მარტში გარდაიცვალა თბილისში და დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე. დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, 1963 წელს დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს, იქვე დაკრძალეს მისი საფრანგეთში გარდაცვლილი მეუღლის, ნინო პოლტორაცკაიას ნეშტიც. "ექვთიმე ღვთისკაცი"-ს ხსენების დღედ 3 იანვარი დაწესდა.

ღონისძიებას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ოლეგ იაძე, მან მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს საინტერესო ღონისძიების ჩატარებისათვის.

ტურნირი ჭიდაობა სამბოში

16 აპრილს კასპის საჭიდაო დარბაზში ჭაბუკებს შორის გაიმართა რაიონული ტურნირი ჭიდაობა სამბოში. ტურნირში მონაწილეობდა ქალაქ კასპის და 7 სოფლის 110 წარმომადგენელი.

ტურნირის მთავარი მსაჯი ყოფილი მოჭიდავე ჯემალ ხორბალაძე იყო. ორთაბრძოლაში მრავალმა ჭაბუკმა

ისახელა თავი. პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ მოჭიდავეებს მწვრთნელებმა და კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა სიგელები გადასცეს.

ჭიდაობა სამბო კასპში პოპულარულია და ტრადიცია გრძელდება. საქართველოს სამბისტთა ნაკრებს წლების განმავლობაში სათავეში კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ოლეგ იაძე ედგა და ნაკრების შემადგენლობაში კასპელები ჭარბობდნენ. ტურნირს იგი

პირადად ესწრებოდა და როგორც მან აღნიშნა, სპორტის განვითარებას ყოველთვის შეუწყობს ხელს.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის,განათლების,სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური და კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

გ ი ნ დ ა თ, გვიცნოთ ცვინტერიერი, ცვალავ და მნიშვნელოვან ცვლილებებს ჯვეფნიცა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?

გ ი ნ დ ა თ, გვიგოთ ერიცყეცთა მოცვლრებები ცვალრთველოს ცხოვრებიც ჰერცვეჯეტივაზე?

გ ი ნ დ ა თ თვალი ადევნოთ ცვალრთველოში მიმდინარე მოვლენებს?

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!



მსოფლიო მოგზაური კასპს სტუმრობდა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით 2013 წლის 9 მაისს სტარტს იღებს გინესის მრავალგზის რეკორდსმენი,

მსოფლიოს მოქალაქისა და სპორტსმენის, მსოფლიო ველომოგზაურის, გაეროს ბუნების დაცვის ელჩის, იუნესკოს მსოფლიო დესპანის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, 74 წლის ჯუმბერ ლეჟავას ახლა უკვე მეშვიდე ველოტური დევიზით "ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".

ორი წლის განმავლობაში ველოტურის მონაწილენი /სულ 40 ათასი მოყვარული/ გაივლიან ევრაზიის 30-მდე ქვეყნის 200-ზე მეტ ქალაქსა და ათასობით დასახლებულ პუნქტს. ველოტურის მიზანი მასშტაბური და მრავალმხრივია, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას, ქართული ტრადიციებისა და კულტურის პროპაგანდას, ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან კავშირურთიერთობების გაღრმავებას, კომპანიების რეკლამირებას, ტურისტების, ინვესტორებისა და ბიზნესპარტნიორების მოზიდვას.

ველოტურის მარშრუტი ქვეყნებია: საქართველო, აზერბაიჯანი, თურქეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, რუსეთი, უკრაინა, მოლდავეთი, ბელორუსი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ჩეხეთი, ავსტრია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ხორვატია, სერბეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ბოსნია, ჩერნოგორია, მაკედონია, ალბანეთი, საბერძნეთი, თურქეთი, სომხეთი.

აღსანიშნავია ის, რომ 13 აპრილს დაიწყო და 27 აპრილს დამთავრდა ჯუმბერ ლეჟავას ველოტური საქართველოს მასშტაბით. მან თავისი მოგზაურობა მცხეთიდან დაიწყო, შემდეგ კი სახელგანთქმული მოგზაური ცოტა ხნით კასპსაც ესტუმრა. სააკაძის ძეგლთან შეკრებილ მოსწავლე-ახალგაზრდობას, სპორტსმენებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს ჩვეული გულითადობით და მოკრძალებით მიმართა.

- ყველაფერს, რასაც ვაკეთებ დიდი სიყვარულით, უანგაროდ ვუძღვნი ჩემს სათაყვანებელ ქვეყანას,- განაცხადა მან სიტყვით გამოსვლისას,- მსოფლიოში მიმოგზაურია და შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ საქართველო უნიკალური ქვეყანაა, არა მხოლოდ თავისი განუმეორებელი ბუნებრივი პირობებით, არამედ შეუდარებელი ხალხით. მჯერა, რომ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა, მომავალი თაობა დაიცავს და გაუფრთხილდება ქართულ მენტალიტეტს, ჩვენს კულტურას და ტრადიციებს, იცხოვრებს ჯანსაღი წესით.

რაიონისა და ქალაქის სახელით საპატიო სტუმარს მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ოლეგ იაძე. მან მხარში დგომა აღუთქვა სახელგანთქმულ მოგზაურს და მადლობა გადაუხადა ჩვენს ქალაქში ჩამობრძანებისათვის,

ქართველი მოგზაური კასპიდან კმაყოფილი გაემგზავრა, რადგან მასპინძლებმა მას სანახაობრივად შთამბეჭდავი გაცილება მოუწყეს.

,,ახალი განთიადის,, მკითხველს შეუძლია მოგვაწოდოს თავისი შედგენილი – სხვადასხვა კროსვორდები, შემეცნებით-გასართობი მასალები. მათგან ყველაზე საინტერესო გამოქვეყნდება სპეციალური რუბრიკით ,,გონებანი გონიერთა,, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, სააკაძის ქ. 68.

საქართველოს ჩემპიონატზე

ბავშვთა და მოზარდთა შორის კარატეში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე კასპში არსებული კლუბ - "ხვადის" /ინსტრუქტორი დავით დალაქიშვილი/ კარატისტებიდან ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა ქალაქის მესამე საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე /12-13 წელი - 45კგ. / თორნიკე მურღული. ჩემპიონატის ორგანიზატორებმა, დარგის სპეციალისტებმა კასპელი კარატისტი თორნიკე მურღული საუკეთესო სპორტსმენთა შორის დაასახელეს, აღსანიშნავია ისიც, რომ იგი მარტო სპორტში კი არა სწავლასა და ყოფა-ქცევაშიც სანიმუშო ახალგაზრდაა და წარმატებულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

კარატისტთა კლუბ "ხვადიდან" საქართველოს ჩემპიონატზე საპრიზო ადგილისათვის იბრძოდა აგრეთვე კასპის მეორე საჯაროსკოლელი, დებიუტანტი კარატისტი გივი ფსუტური /8-9 წელი, +35კგ /რომელიც სულ რაღაც ერთი წელია, რაც კლუბის წევრია და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატზე იგი ოთხ კარატისტს გაუმკლავდა და მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა.

ვულოცავთ პერსპექტიულ კარატისტებს თვალსაჩინო მიღწევებს.

რესპუბლიკური ტურნირი



კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

ქალაქ თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში. საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მონაწილე ძიუდოისტთა შორის კასპიდან მონაწილეობდა ლავრენტი კაციაშვილის სახელობის კასპის ჭიდაობის სკოლის გუნდიც, რომელმაც წარმატებით იასპარეზა და პერსპექტიული ძიუდოისტებიც გამოავლინა. მათ შორის ასახელებენ კასპის მესამე საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეს ვასილ გვიმრაძეს.

კასპელმა ძიუდოისტმა ვასილ გვიმრაძემ / 73 კილოგრამი წონითი კატეგორია / ტურნირის პირველი ორი შეხვედრა სუფთად მოიგო, მაგრამ ფინალურ შეხვედრაში მისმა მეტოქემ, თბილისელმა ლევან ჩაჩუამ / 100 კილოგრამი წონითი კატეგორია / სძლია ჩვენს თანაქალაქელ სპორტსმენს და ცხადია, პირველობა მას დარჩა.

ამჯერად, ვასილ გვიმრაძე მართალია, მეორე ადგილის მფლობელი გახდა, თუმცა, კასპის ჭიდაობის სკოლაში მას პერსპექტიულ და იმედის მომცემ ძიუდოისტად მოიაზრებენ. მთავარია, ახალგაზრდა სპორტსმენმა მწვრთნელის /ბერდია ნატროშვილის/ მეთვალყურეობით გააგრძელოს ვარჯიში.

- ოთხი წელია, დიდი მონდომებით ვარჯიშობს ვასილ გვიმრაძე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თვალსაჩინო შედეგებს აღწევს,- აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, - მან ადრეც გვასახელა. მაგალითად, ამ რამდენიმე ხნის წინ გორში გამართულ ჩემპიონატზე მძიმე წონით კატეგორიაში მოასპარეზე სპორტსმენთა შორის ქულები დააგროვა და სათანადო ტიტულებსაც დაეუფლა.

ისღა დაგვრჩენია მივულოცოთ მიღწეული სპორტული შედეგები სულ ახალგაზრდა ძიუდოისტს და სამომავლოდ წარმატებები ვუსურვოთ.

ტრადიციული, საგაზაფხულო

ამ დღეებში კასპის სამუსიკო სკოლაში (დირექტორი თეა კორინთელი) გაიმართა პირველკლასელთა ყოველწლიური კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ მშობლები, მოწვეული სტუმრები. ეს ზეიმი პატარა შემსრულებლებმა გაზაფხულის მოსვლას დაუკავშირეს. შესრულდა ბეთჰოვენის, მაიკაპარის, გერნშტეინის, შიტეს, შავერზაშვილის და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებები. მაყურებლის აპლოდისმენტები დაიმსახურეს მოსწავლეებმა: თამარ პაიჭაშვილმა, გურამ ქამხაძემ, ელენე რაზმაძემ, ანამარია მზარეულაშვილმა, ხატია ხაჩირაშვილმა, მილენა სანაიამ, ხატია მამულაშვილმა, ანამარია ნონიაშვილმა, სალომე პავლიაშვილმა, ივანე ბერიანიძემ, ნია კეკელაშვილმა და სხვებმა. სულ კი, ყოველწლიურ საგაზაფხულო კონცერტში 22 პირველკლასელი მონაწილეობდა. მუსიკის მასწავლებლებმა დადებითად შეაფასეს ბავშვების მიერ წარმოდგენილი მუსიკალური პროგრამა. სამუსიკო სკოლაში უკვე დაიწყო სამზადისი, საქმე ის გახლავთ, რომ პატარა მუსიკოს – შემსრულებლები საანგარიშო კონცერტისათვის ემზადებიან, რომელიც ზაფხულშია დაგეგმილი.

... და ისმოდა პატრიარქის საგალობელი

დიდი ქართველი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის /ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი/ ბავშვების მონაწილეობით ჩატარდა მოწვეული სტუმრები, მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებოდნენ.

კასპის სამუსიკო სკოლის დარბაზში გამართულ თეატრალიზებულ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: მარიამ წიკლაური, სალომე სიხარულიძე, სალომე ჯაბაური, გვანცა გერმისაშვილი, თამარ მარქარაშვილი, ვოვა გერმისაშვილი, მარი აბულაძე, ანი ჯალალი, მარი ბეჟიტაშვილი, ქეთი წიკლაური. ისინი მთელი საათნახევრის განმავლობაში ემოციებით, უდიდესი სიყვარულით და კრძალვით გადმოსცემდნენ ისტორიულ ფაქტებს, ჭეშმარიტი მამულიშვილის, ღვთის კაცის ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტურ მასალებს. შეკრე

* დასასრული მე-8 გვ.

ჯვაროსანი ლეონტაოსწყალი თვალსაჩინოთათვის

სასწაული მადლმოსილი **ცეცხლის გარდამოსვლისა** პირველად მოიხსენიება IV საუკუნეში, ამ მოვლენაზე მოგვითხრობენ IX საუკუნის არაბი ისტორიკოსები მასუდი და ბირუნი. ისევე, როგორც ახლა, ძველ დროშიც ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე ყოველ დიდ შაბათს გარდამოდიოდა ზეციდან. ცეცხლის ზეციურობა იქიდანაც ჩანს, რომ გარდამოსვლიდან რამდენიმე წუთი არაფერს წვავს, მცირე დროის მერე კი ჩვეულ თვისებას იძენს. ეს სასწაული, ჩუმი სიხარული მთელი მართლმადიდებელი სამყაროსი, აშკარა ნიშანია ღვთისაგან, რომ იგი ჩვენთანაა.

მაგრამ 1579 წელს, სულთან მურად მართლის მმართველობისას, სომეხმა მონოფიზიტებმა მოისყიდეს იერუსალიმის ფაშა, რომ დიდ შაბათს ქრისტეს აღდგომის ტაძარში მარტო ისინი ყოფილიყვნენ. მართლმადიდებლები ტაძარში არ შეუშვეს. ისინი, პატრიარქ სოფრონიოს IV-სთან ერთად, ტაძრის დაკეტილი კარების წინ, მოედანზე იდგნენ, აცრემლებულნი და გულშემუსვრილნი იმედოვნებდნენ, მადლმოსილი ცეცხლი ერეტიკოსების ხელთაგან მაინც მიეღოთ.

მათ იანიჩრები თვალს ადევნებდნენ, მოსალოდნელი უწესრიგობისგან თავის დასაზღვევად. უფლის საფლავის ტაძრის გვერდით დაახლოებით იმავე სიმაღლის შენობა დგას. ამ შენობის ზედა სართულის ვერანდაზე, სადარაჯო პუნქტში, იდგა ოფიცერი ომარი თავის ჯარისკაცებთან ერთად.

ნათელი და მოწმენდილი იყო აპრილის ის დღე. გადიოდა საათები. უკვე კარგა ხანია გაიარა იმ დრომაც, როცა მადლმოსილი ცეცხლი გადმოდის ხოლმე (ჩვენი დროით დაახლოებით დღის ორ საათზე), მაგრამ ახლა ასე არ მოხდა. სომხები დიდხანს ელოდნენ სასწაულს, მათი კათოლიკოსი გულმოდგინედ ლოცულობდა უფლის საფლავის წინ, მაგრამ ღვთაებრივი ცეცხლი არ გარდამოდიოდა. უეცრად მეხმა იქუხა, ტაძრის ერთ-ერთი მარმარილოს სვეტი გასკდა და ამ ბზარიდან ცეცხლი გამოვარდა, ტაძრის წინ მლოცველი მართლმადიდებელი პატრიარქი წამოდგა და თავისი სანთლები აანთო. მისგან მიღეს მადლმოსილი ცეცხლი ყველა მართლმადიდებელმა და ტაძარში მოსულმა სხვა აღმსარებლებმა.

ყველას უხაროდა, მართლმადიდებელი არაბები სიხარულით ხტოდნენ და ყვიროდნენ: "შენ მხოლოდ ხარ ღმერთი ჩვენი, იესო ქრისტე! მხოლოდ ჩვენი რწმენა, მართლმადიდებელ ქრისტიანთა რწმენაა ჭეშმარიტი". ისინი მთელ იერუსალიმში დარბოდნენ, ყვიროდნენ და ხმაურობდნენ. მოდარაჯე თურქული ჯარი განაცვიფრა და შეაძრწუნა ამ სასწაულმა. ყველა დაიბნა. ამ დროს ომარმა ხმამაღლა დაიძახა: "დიდია მართლმადიდებელთა რწმენა და მეც ქრისტიანი ვარო!" წამისყოფაში მრისხანებისაგან სახე აერიათ თურქებს და მას მისცვივდნენ. ომარი თამამად გადახტა ათ მეტრზე მეტი სიმაღლის აივნიდან დაბლა, ქრისტიანებთან. საკვირველი უშიშრობა, რაც ახასიათებს ქრისტესთვის ყველა მოწამესა და აღმსარებელს, მოწმობა იყო იმისა, რომ მან ჭეშმარიტად ირწმუნა ქრისტე, "რამეთუ არა მომცა ჩვენ ღმერთმან გული მოშიშებისაი, არამედ ძლიერებისა და სიყვარულისა და სიწმიდისაი".

ომარი უვნებლად დაეცა მიწაზე და სასწაულებრივად გადარჩა. თანამემამულეებმა შეიპყრეს და უმალ თავი მოჰკვეთეს, ეშინოდათ, მისთვის სხვებსაც არ მიებაძათ. თავისი სისხლით მონათლული წმინდა ომარის სხეული კი ტაძრის წინ მოედანზე დაწვეს.

მართლმადიდებლებმა წმინდა ომარის ფერფლი და ძვლები მოაგროვეს, ლარნაკში მოთავსეს და სათაყვანებლად დააბრძანეს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის დედათა მონასტერში, სადაც დღემდე საკვირველ კეთილსურნელებას გამოსცემს. იერუსალიმის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ომარი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 19 აპრილი (2 მაისი ახ. სტ.) დააწესა.

გვერდებგამურული გახეთქილი მარმარილოს სვეტი (ამ სვეტზე უძველესი წარწერაა გამოსახული) დღემდე დგას აშკარა ნიშნად ღვთის ძალისა, რომელიც მხოლოდ მართლმადიდებელი, ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოების დროს ვლინდება.

საღვთო ტრადიციებს შორის გამორჩეული



ჩვენი ბავშვობის ერთერთი უგემრიელესი მოგონება, სწორედ საღვთო კვერცხს უკავშირდება. მანამ სანამ გააცნობიერებ, რატომ ღებავენ ბებოები თეთრ კვერცხს წითლად, გემრიელად რომ მიირთმევ და მეზობლის ბავშვებში თავს იწონებ ყველაზე "მაგარი" კვერცხით, საღვთო დღესასწაულში ჩართული მხოლოდ ემოციებს აყოლილი გრძნობ, რომ რაღაც საკრალურად მნიშვნელოვანი ნივთის მფლობელი ხარ. ენდროში "შეღებილი" ბავშვური ხელები კი დროთა განმავლობაში შენი მოუსვენარი ბავშვობის ცალკე თავგადასავალი ხდება.

წითელი კვერცხი საღვთო სუფრის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია, რომელსაც ვნების პარასკევს ღებავენ, ნიშნად ქრისტეს მიერ კაცობრიობის გამოსახსნელად დაღვრილი სისხლისა. გადმოცემით, წმინდა მარიამ მაგდალინელმა რომის იმპერატორ ტიბერიუსს აღდგომა ახარა და კვერცხი მიართვა. ტიბერიუსმა უპასუხა, მაგ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო. ამ სიტყვებზე კვერცხმა ფერი შეიცვალა. მას შემდეგ მორწმუნე ქრისტიანებში კვერცხის შეღებვა ტრადიციად იქცა.



მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფხვნილი არსებობს, კვერცხის შეღებვის ყველაზე ნაცად და გამართლებულ საშუალებად დღემდე ენდრო და ხახვის ფურცელი რჩება. გარდა იმისა, რომ ეკოლოგიურად სუფთაა, ენდრო კვერცხს განსაკუთრებულ გემოს და არომატსაც ანიჭებს. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ენდროთი შეღებილი საღვთო კვერცხი გამორჩეულად გემრიელია და დიდი ხნის განმავლობაში არ ფუჭდება.

საღვთო კვერცხის მოხატვა უამრავი ადამიანის ჰობი გახდა, თუმცა, ცნობილი იუველირის, ფაბერჟეს ქმნილებებს ბადალი დღემდე არა ჰყავს. მის მიერ დამზადებული ულამაზესი დეკორატიული კვერცხები სპეციალურ ყუთებში ინახებოდა და საჩვენებლად მხოლოდ აღდგომის დღესასწაულზე გამოჰქონდათ. ფაბერჟე ასლს არასოდეს აკეთებდა. სწორედ ამიტომაა მისი თითოეული ნამუშევარი უნიკალური. ცნობილი იუველირის 47 კვერცხი დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაში ინახება.

საღვთო სუფრის კიდევ ერთი ატრიბუტია პასკა, რომელსაც ქრისტიანები მაცხოვრის აღდგომის რწმენის ნიშნად აცხობენ. სიმბოლურად იგი გოლგოთას აღნიშნავს, მთას, სადაც აწამეს და ჯვარს აცვეს ქრისტე. საღვთო პასკა ფორმით არტოსს წააგავს, საღღესასწაულო პურს, რომელსაც ეკლესიაში აღდგომის დღეებში არიგებენ, თუმცა, მისგან განსხვავებით, საკმაოდ ტკბილი და ნოყიერია. საღვთო პასკაში აუცილებლად უნდა იყოს ბევრი ქიშმიში, სანელებლები და ცხიმი – ეს არის იმ დიდი დღესასწაულის ხორციელი გამოხატულება, რასაც კაცობრიობა აღდგომის ბრწყინვალე დღეებში განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ დღეს პასკის შეძენა ბევრგან შეიძლება, შინ გამომცხვარს სულ სხვა გემო და ხიბლი აქვს. პროცესი საკმაოდ შრომატევადია, თუმცა, დღესასწაულის განცდას ამძაფრებს. შედეგი კი იმდენად სასიამოვნოა, წვალებად ნამდვილად ღირს.

ძველად სადღესასწაულო სუფრას ამშვენებდა მშრალად მოხარშული ღორის ბარკალი, წითელი კვერცხები, ქადა, ხაჭაპური, შოთის პური, ყველი, მწვანილი, მწნილი, ხილი და რასაკვირველია, წითელი ღვინო.

საღვთო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო ჭონა, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, მთელს სოფელს ჩამოუვლიდა და საღვთო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისი კი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილით და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შეგროვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებოდა და ილხენდა.

რაჭაში აღდგომა დილით წირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ, მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი საღვთოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დაალაგებდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის

* დასასრული მე-7 გვ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის განჩინება მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად



ყოველი ოჯახი მძიმედ განიცდის უახლოესი წევრის გარდაცვალებას და გამოხატავს თავის წუხილს, მაგრამ ბოლო დროს ეს დამახინჯებული ფორმით ვლინდება.

ხშირია შემთხვევა, როცა ახლობლები მრავალი წლის ან მთელი სიცოცხლის მანძილზე არ იხდიან შავ სამოსს და ჩამოშორებულნი არიან ყოველდღიურ ცხოვრებას.

უსაზღვრო გლოვა, გოდება, ტირილი მეტყველებს ადამიანის ურწმუნოებაზე, იმაზე, რომ მას არ სწამს ღმერთი, არ სწამს სულის უკვდავება და თვლის, რომ გარდაცვლილი სამუდამოდ დაკარგულია მისთვის, ამით კი ჭირისუფალი უდიდეს ცოდვას იღებს თავის თავზე, რადგან იგი არასწორი ქცევით მეტად ამძიმებს გარდაცვლილის უკვდავ სულს, ამძიმებს თავისი ოჯახის ცხოვრებას.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ადამიანის გარდაცვალება არ ნიშნავს მის მოსპობას. ადამიანის სული ცოცხალია, უკვდავია და იგი მარადიულ ცხოვრებაში იმკვიდრებს იმ ადგილს, რასაც თავისი სარწმუნოებითა და ქცევით იმსახურებს.

მიწიერი ჩვენი ცხოვრება არის მომზადება მარადიულობისათვის, იგია თითოეული ჩვენთაგანისათვის უდიდესი გამოცდა.

ბედნიერია, ვინც მართლმადიდებელი სარწმუნოებით, სიყვარულითა და კეთილი საქმით წარდგება ამ გარდაუვალი დღის წინაშე და მართალთა სავანის მკვიდრი გახდება.

ხშირია შემთხვევა, როცა კეთილი ადამიანი ტოვებს ამ წუთისოფელს, ანდა მცირე ასაკისა შეერთვის მარადიულობას, ამაშიაც ჩვენ უნდა დავინახოთ განგება უფლისა; ღმერთს ისინი ნაკლებად ცოდვილნი მიჰყავს თავისთან.

ყოველივე ამის გამო განვაჩინებთ:

1. ავადმყოფს აუცილებლად უნდა მოუყვანოთ მოძღვარი აღსარებისა და ზიარებისათვის, რადგან წმინდა ზიარება არის საკურნებელი სულისა და ხორცისა და ხშირია შემთხვევა, როცა წმინდა ზიარებით სასწაულებრივად განკურნებულა ადამიანი; ასევე, მეტად კარგია ავადმყოფისათვის ზეთის კურთხევა.

2. გარდაცვალების შემთხვევაში პირველივე დღიდან დასაფლავებამდე მიცვალებულის თავთან ჩაუქრობლად უნდა ენთოს სანთელი და კანდელი, უნდა იდგეს ხატი, ხორბალი, წყალი, ღვინო, მარილი და დღედაღამ ახლობლების მიერ უნდა იკითხებოდეს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები.

3. ფსალმუნის კითხვა (თუნდაც დღეში მხოლოდ ერთი კანონის) სასურველია, დასაფლავების შემდეგ ერთი წლის მანძილზე მაინც გაგრძელდეს.

4. გარდაცვლილს გულზე უნდა ეკიდოს ნაკურთხი ჯვარი.

5. თუ მიცვალებულის ახლობლები მოუნათლავია, კარგია თუ ისინი გარდაცვლილის დასაფლავებამდე მოინათლებიან; თუ მიცვალებულია მოუნათლავი, მისი მონათვლა არ შეიძლება.

6. საერთო პანაშვიდის დროს სასურველია საერო სიმღერებისა და მუსიკის ნაცვლად შესრულდეს საეკლესიო საგალობლები.

7. მიცვალებული უნდა დაიკრძალოს გარდაცვალებიდან 3-5 დღის განმავლობაში.

8. მიცვალებულს არ უნდა ჩაატანოთ ზედმეტი ტანსაცმელი და სხვა რაიმე ნივთი.

9. დასაფლავების დღეს, დილით ან წინა ღამეს მოძღვარმა უნდა აუგოს წესი მიცვალებულს და უკურთხოს საფლავის მიწა, ღვინო, პური, მარილი, წყალი.

10. დასაფლავების დღიდანვე უნდა დაიდგას მღვდლის მიერ ნაკურთხი დროებითი ჯვარი (ხის, ლითონის ან სხვა მასალის), რადგან უჯვარო საფლავს, წმინდა მამების სწავლებით ეშმაკი ეპატრონება.

11. გარდაცვლილის დაკრძალვის შემდეგ მისი სულის მოსახსენებლად მზადდება მოკრძალებული ქელეხი მხოლოდ უახლოესი ნათესავებისა და ახლობლებისათვის, ქელეხი არ უნდა გაგრძელდეს დიდხანს.

უკეთუ ადამიანი მარხვის დროს გარდაიცვალა, საჭმელი მზადდება მხოლოდ სამარხვო.

12. თუ ადამიანი გარდაიცვალა ხსნილში, კარგია, თუ მისი ახლობლები გარდაცვლილის დასაფლავებამდე შეინახავენ მარხვას.

13. გარდაცვალებიდან 39-ე დღეს მოძღვარმა უნდა შეასრულოს პანაშვიდი, ხოლო მეორმოცე დღეს და წლისთავზე მიცვალებულისათვის უნდა დამზადდეს საკურთხი და ეკლესიაში შესრულდეს შეკვეთილი წირვა და პანაშვიდი.

14. მიცვალებულის ორმოცი უნდა გადაიხადოს გარდაცვალებიდან ზუსტად მეორმოცე დღეს, ან წინა დღეს, რადგან მეორმოცე დღეს ხდება გარდაცვლილის სულის დამკვიდრება მისთვის განკუთვნილ სავანეში.

წლისთავიც უნდა გადაიხადონ გარდაცვალებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ორივე შემთხვევაში მიცვალებული სულის საოხად გამზადებული საჭმელი მარხვაში უნდა იყოს სამარხვო, ხსნილში – სახსნილო.

15. ყოველ წელიწადს მიცვალებულთა ხსენების დღეს მისი ახლობლები უნდა ამზადებდნენ საკურთხს, რომელსაც დილით, წირვის დაწყების წინ მიიტანენ ტაძარში პანაშვიდისათვის.

16. მეტად კარგია თუ მიცვალებულის ახლობლები გააკეთებენ საკურთხს და ეკლესიაში მოძღვარს შეასრულებინებენ პანაშვიდს გარდაცვლილის დაბადების დღის, გარდაცვალებისა და ანგელოზის დღეებში. საკურთხი, ზეთი, ღვინო, წანდილი ან კოლიო (სხვა საჭმელიც შეიძლება).

17. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიცვალებულისათვის, თუ მისი ახლობლები ყოველ შაბათ-კვირას და დღესასწაულის დღეებში ესწრებიან წირვა-ლოცვას, ეზიარებიან და სეფისკვერს აგზავნიან საკურთხეველში გარდაცვლილის სულის მოსახსენებლად.

18. ქრისტიანის საფლავი არ უნდა იყოს მდიდრული, მიცვალებულის სულისთვის უკეთესია, თუ თანხა გაჭირვებულთ დაურიგდებათ.

19. მოძღვრის მიერ საფლავის კურთხევა კარგია მიცვალებულთა მოხსენების დღეებში.

20. ორმოცი დღის შემდეგ გარდაცვლილის ტანსაცმელი და ნივთები უნდა დაურიგდეს გაჭირვებულთ.

21. თვითმკვლელობით აღსრულებულის და მოუნათლავისათვის საეკლესიო წესების შესრულება საეკლესიო კანონების თანახმად აკრძალულია. მათ სახელზე მხოლოდ მოწყალება შეიძლება გაიცეს, საერთოდ მიცვალებულის სახელზე მოწყალების გაცემა მეტად კარგია.

22. თუ ფსიქიურად დაავადებული ადამიანი მოიკლავს თავს, მისთვის საეკლესიო კანონის თანახმად საეკლესიო წესების შესრულება ნებადართულია..

23. გარდაცვლილის ახლობლებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა, ატარონ შავი ტანსაცმელი 40 დღე ან არაუმეტეს 1 წელი. ერთი წლის შემდეგ შავი სამოსი აუცილებლად უნდა გაიხადოს ყველამ, შვილის, მეუღლის, ან მეტად ახლობელი ადამიანისათვის სიყვარული უნდა გამოიხატოს არა შავი სამოსის ტარებით, არამედ ლოცვით და მიცვალებულის სულისთვის ღვთის სათნო კეთილ საქმეთა აღსრულებით.

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული

* დასასრული

მეორე დღეს "გიორგონთობას" ზეიმობდნენ. აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და იყო დიდი სმა-ქეიფი.

ყოველ წელიწადს, აღდგომის დღესასწაულზე **გურიაში** ტრადიციული ლელო იმართებოდა. 16 კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს მიივიწყეს. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ – ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ **სამეგრელოში**. აღდგომის დღეს განსაკუთრებული ქვევრის, ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. აცხობდნენ ყველისა და კვერცხის პურის კვერებს. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოს და ამ ყველაფერს საღმრთო საოხორო ქვევრის თავზე დაალაგებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ, აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და არიგებდნენ.

გილოცავთ!

“ქრისტეს”
გილოცავთ აღდგომას!

... და ისმოდა პატრიარქის საგალობელი

* დასასრული.

ბილ საზოგადოებას გულში ჩამწვდომად და შთამბეჭდავად მოუთხრობდნენ სახელოვანი მამულიშვილის ღვაწლსა და დამსახურებაზე.

პატარა დეკლამატორების გამოსვლა კიდევ უფრო ლამაზი და შთამბეჭდავი გახადა მუსიკალურმა გაფორმებამ. დარბაზი სულგანაბული ისმენდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საგალობელს “დავიღალე”.

ღონისძიების დასრულების შემდეგ აზრი გამოთქვეს: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ნუნუ ყიფიანმა, სამუსიკო სკოლის დირექტორმა თეა კორინთელმა და სხვებმა.

ლელა პეტრიაშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი.

კარდიოლოგიის ახალი კაბინეტი

* დასასრული.

მრავალრიცხოვანი კვლევების საფუძველზე დღეს დადგენილია, რომ მსოფლიოში სიკვდილს ყველაზე ხშირად იწვევენ გულის დაავადებები - საერთო სიკვდილიანობის 12,8 პროცენტია. ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია ამ პრობლემის აღმოსაფხვრელი ღონისძიებების ჩატარება.

მკურნალობის შედეგი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ დაავადების სიმპტომების /ნიშნების/ აღმოცენებიდან რამდენ ხანში იწყება მკურნალობა, რაც უფრო ადრე დაიწყება ეს პროცესი, მით ეფექტური იქნება შედეგი. ამიტომ კარგი იქნება, რომ ადამიანი წელიწადში ორჯერ, მაშინაც კი, როცა არა აქვს დაავადების სიმპტომები, შეხვდეს კარდიოლოგს, გაესაუბროს მას, ჩაიტაროს საჭირო გამოკვლევები, რათა დროულად გამოავლინოს დაავადების დიაგნოზი.

მედიცინის დღევანდელი დონე იძლევა საშუალებას გულის ზოგიერთი დაავადების დიაგნოზი გამოვლინდეს მაშინაც კი, როცა პაციენტი საერთოდ ვერ გრძნობს ვერანაირ სიმპტომს. ხანდახან ადამიანს აქვს გარკვეული სიმპტომები რომელთაც არ აქცევს ყურადღებას. არადა, ამ დროს მისთვის აუცილებელია საექიმო შესწავლა, თუნდაც ექიმთან მხოლოდ გასაუბრება იძლევა “გასაღებს”, რომ დადგინდეს ავადმყოფობის დიაგნოზი ან თუ დიაგნოსტიკისათვისაა საჭირო, ჩატარდეს დამატებითი გამოკვლევები. ამიტომაა აუცილებელი, რომ ყველა ჯანმრთელმა ადამიანმა /40 წლამდე და მეტი ასაკისამ ჩაიტაროს ექიმის /კარდიოლოგის/ კონსულტაცია. თუ ამგვარ კონსულტაციებს შორის პერიოდში ადამიანს აღმოაჩნდა დაავადების სიმპტომები, იგი აუცილებლად გაესინჯოს კარდიოლოგს. ასეთი ტაქტიკა და შესაბამისი პროფილის ექიმის კონსულტაცია იძლევა საშუალებას დროულად დაისვას დიაგნოზი და სიმპტომების გამოვლენისთანავე დაიწყოს მკურნალობა, რაც თავიდან აგვაცილებს ბევრ მძიმე დაავადების განვითარებას.

თუ ადამიანს აქვს მოჭერითი ხასიათის ტკივილი გულის ან მკერდის ძვლის უკან ფიზიკური დატვირთვის დროს, თუმცა უჩერდება ფიზიკური დატვირთვის შეწყვეტისთანავე და ემატება არტერიული წნევა, ხშირად აქვს აჩქარებული, შენელებული ან არითმიული /არასწორი/ გულის ცემა, ეწყება ჰაერის უკმარისობა და ქოშინი მცირე დატვირთვის დროს, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმ-კარდიოლოგს, რომელიც ჩაუტარებს სათანადო გამოკვლევებს და დაუნიშნავს შესაბამის მკურნალობას.

გულით ავადმყოფობის დროს ხშირად სწორი დიაგნოსტიკის და ადეკვატური მკურნალობის შემდეგ ადამიანი თავს უკეთ გრძნობს, თვლის, განიკურნა და წყვეტს მკურნალობას. ეს არის დიდი შეცდომა, ამგვარი ქცევა ნიშნავს წყალში გადაყაროს ის დადებითი შედეგები, რომლებიც მიღწეული იქნა სათანადო მკურნალობით. თუ პაციენტი თავს კარგად გრძნობს და მისი აზრით, აღარ ესაჭიროება მკურნალობა, კი არ უნდა შეწყვიტოს ექიმთან სიარული, არამედ ინტენსიურად უნდა მიიღოს ექიმ- კარდიოლოგის კონსულტაციები, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი გართულებები.

გილოცავთ აღდგომას!



ანონსი ანონსი ანონსი

ათწლეულები ათოვდა და “აწვიმდა” ცემენტის მტვერი სააკაძის ძეგლს, არ გვეგონა თუ მოვესწრებოდით და ვნახავდით გასუფთავებულს, კიდევ ერთხელ დავტკბებოდით მერაბ ბერძენიშვილის დიდებული ქმნილებით...

ვისი სიმღერები შეინახება მსოფლიო საგანძურში! ... და რა კავშირშია ეს ამბავი კასპთან?! დაწვრილებით გაიგეთ “ახალი განთიადის” მომდევნო ნომერში.

მომდევნო ნომერში

მადლობა

ბუნებრივი სტიქიის შედეგად დაზიანდა ჩვენი საცხოვრებელი სახლის სახურავი, აღმოვჩნდით გამოუვალ მდგომარეობაში, რა უნდა გვექნა, არ ვიცოდით...

ძალიან დაგვეხმარა ადგილობრივი გამგეობა, რომელმაც გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი და შეაკეთა ძლიერი ქარის დროს დანგრეული სახურავი. მთელი ჩვენი ოჯახი დიდ მადლობას ვუხდით კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ოლეგ იაძეს და მის მოადგილეს ზაზა მოსიაშვილს, გამგეობის წარმომადგენლებს ლევან დემეტრაშვილს, ნიკოლოზ მერებაშვილს, ბესო იორდანიძეს და ყველას, ვინც მხარში ამოგვიდგა.

ნანი ზალინოვი, ქალაქი კასპი, თავისუფლების ქუჩა №1ა.

შ.პ.ს. “ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას” კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას

შ.პ.ს. “ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას” კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:

1. მორიგე ზეინკალ-შემკეთებელი (სასურველია იცოდეს ელ. შედუღება და აირჭრა).

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი რეზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის 3 მაისამდე შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge



80 წელი თქვენს გვერდით
გ ა მ ო ი წ ე რ ე თ
,,ახალი განთიადი,,!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76